



ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი -
„პროგრესის სახლი“-ს საგაზეო ჩანართი №6 - 2020 წელი

0300გმართვალობა

ინფოგრაფიკებში

მომზადებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის
პროგრამული პილატის პროექტის მიხედვით



2020 წლის ბიუჯეტის სრული
ვერსია იხილეთ ჩოხატაურის
მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
www.chokhatauri.ge



პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე)

განათლება

პრიორიტეტის ბიუჯეტი

1 510 000 ლარი



პროგრამა 04.01 განათლების სისტემის ხელშეწყობა

პროგრამის ბიუჯეტი:
50 000 ლარი

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამა 04.01 სკოლაგდელი განათლების დაფინანსება

პროგრამის ბიუჯეტი:
1 450 000 ლარი

პროგრამის მიზანია საბავშვო ბალებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, უზრუნველყოფილი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბალებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 500 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბალების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბალების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“



პროგრამა 04.04 საჯარო მსამსახურების გადამზადების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი:
10 000 ლარი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვასასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკის პირველი დონე)

კულტურა ახალგაზრდობა

და სპორტი

პრიორიტეტის ბიუჯეტი

1 905 700 ლარი



ქვეპროგრამა 05.01.05.
სპორტისა და სპორტულ ღონისძიება-
თა ორგანიზაციის ცენტრი

პროგრამის ბიუჯეტი:

385 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზაციის ცენტრი, რომე-

ლიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოწყობა შეჯიბრებები :

- ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ფულზალი - ჩოხატაურელი იუნიკერების მაკარ პურჭულაძის, აკაკი და გედეონ ხუნდაზების სახელობის ტურნირი.
- ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოქადრაკეთა მივლინება.
- ბალასის ჰოკეი - 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ლელეხი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადახლვაში და სხვა.
- ფეხბურთი - ვეტერან ფეხბურთელთა შეჯიბრი.
- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- ტრადიციული დოლი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბაზმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით.
- აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში.
- ბაზიერება - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები.

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზაციის ცენტრი

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“

პროგრამა 05.01
სპორტის განვითარების
ხელშეწყობა

პროგრამის ბიუჯეტი:
560 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციათან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვა-დასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბაზმარო და ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი

ქვეპროგრამა 05.01.04.03
ა(ა)იპ - საფეხბურთო კლუბი
ბაზმარო

პროგრამის ბიუჯეტი:
190 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში 130 მოზარდია გაერთიანებული

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბაზმარო

